

**სეტოს მრავალნაწილიანი სიმღერა და სხვა მუსიკა. დროთა განმავლობაში მრავალნაწილიანი ტრადიციის საზრისების და ფუნქციების ცვლილება ხანდაზმული მომღერლების თვალთ**

ჩემს პრეზენტაციაში შევეცდები, ნათელი მოვფინო სეტოს მრავალნაწილიანი სასიმღერო ტრადიციის ისტორიულ ცვლილებებს, XX და XXI საუკუნეებში სეტოს თემის აქტიური ქალი მომღერლების მუსიკალური ბიოგრაფიების საფუძველებზე.

სეტო მცირერიცხოვანი, ესტონელების მონათესავე ეთნოსია (დაახლოებით 000 12 ადამიანი) და მიეკუთვნება ბალტიურ-ფინურ, უფრო ზოგადად, ფინურ-უნგრულ ჯგუფს. ამჟამად სეტოს ისტორიულ ტერიტორიას (Setomaa – „სეტოს მიწა“) ორ ნაწილად ყოფს ესტონეთი-რუსეთის საზღვარი. ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე მიგრაციის გამო, სეტოელთა უმრავლესობა ამჟამად ესტონეთის რამდენიმე რეგიონში ცხოვრობს (მათგან, დაახლოებით 2500 ადამიანი სეტომას მუნიციპალიტეტში) და მხოლოდ 200 ადამიანი ცხოვრობს რუსეთის ტერიტორიაზე.

სეტოს მრავალნაწილიანი სასიმღერო ტრადიცია (Seto leelo) ფინური რუნოსონგის (ცნობილია, ასევე როგორც კალევალას მეტრული სიმღერა, რუნული სიმღერა *regilaul*) უნიკალური სუბ-ტრადიციაა, რომელიც როგორც ვარაუდობენ, ორი ათასწლეულის წინ წარმოიშვა (Rüütel 1997; Frog 2019). *Leelo*-ს ტრადიცია ბოლო დრომდე ძირითადად ზეპირად გადაეცემოდა, ხოლო 2009 წელს UNESCO-მ ის კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარა. XX–XXI საუკუნეების განმავლობაში ამ ტრადიციამ სიღრმისეული ცვლილებები განიცადა: სოციალური პრაქტიკიდან *leelo* გადაიქცა ტრადიციად, რომელსაც იცავენ და გადასცემენ ძირითადად ინსტიტუტების მეშვეობით – მომღერალთა ჯგუფებში, რომლებსაც *leelo* გუნდებს უწოდებენ. ზეპირად გადაცემული და საკუთარი შექმნილი სიმღერების გარდა, რეპერტუარი შევსებულია გამოქვეყნებული და საარქივო მასალებით. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ *leelo* ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს სეტოს ხალხის თვით-პრეზენტაციაში, მას სისტემატურად თემის მხოლოდ მცირე ნაწილი ასრულებს – *leelo*-ს გუნდებში დაახლოებით 250 ადამიანი მონაწილეობს. უნდა დავამატო, რომ 1991 წელს ესტონეთის მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, როცა სეტოს თემი პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით საკმაოდ აქტიური გახდა, აღორძინდა ან დაარსდა მრავალი სხვადასხვა სახის ღონისძიება, სადაც შესაძლებელია *leelo*-ს შესწავლა და სპონტანურად შესრულება (UNESCO Seto; Oras, Powell 2022).

XX–XXI საუკუნეებში სეტოს თემში აქტიურად ინერგება რამდენიმე მუსიკალური სტილი: თანამედროვე, რიტმული მღერის ტრადიცია; ორთოდოქსული სიმღერა, კლასიკური მუსიკა (აკაპელა გუნდური სიმღერა); კონცერტინას და რუსული გარმონისათვის შექმნილი მუსიკა; მე-20 საუკუნის პოპულარული მუსიკა. სეტომას მუნიციპალიტეტის ვებგვერდის თანახმად, 10 სეტო *leelo* გუნდის გარდა, ამ მუნიციპალიტეტში არსებობს კიდევ სამი კლასიკური გუნდი და 11 პოპულარული მუსიკის ჯგუფი (<https://setomaa.kovtp.ee/kultuuriseltsid-ja-kollektiivid>).

სტატისტიკა და ოფიციალური დოკუმენტაცია მხოლოდ ნაწილობრივ აღწერს ამ თემის მუსიკალურ ქცევას. იმის გასაგებად, თუ რას ნიშნავს *leelo* ტრადიციის უწყვეტობა და რამ განაპირობა მისი მდგრადობა ამ დრომდე, საჭირო იქნება იმ

პრაქტიკების განხილვაც, რომლებიც ფორმალური ინსტიტუტების გარეთ არსებობს, ისევე, როგორც ინდივიდუალური გამოცდილებების მათი ჰეტეროგენურობის და სირთულის გათვალისწინებით (Bangstad 2016). ამ მიზნით 1933 წლიდან 1962 წლამდე დაბადებულ 11 ქალთან ჩავატარე თვისებრივი, სიღრმისეული, ნაწილობრივ სტრუქტურირებული ინტერვიუ. ყველა მათგანი აქტიურად არის ან იყო ჩართული სეტომაას მუსიკალურ ცხოვრებაში ან მონაწილეობს სეტოს *leelo* გუნდებში სეტომაას გეოგრაფიული არეალის ფარგლებს გარეთ. მომდევნო ნაწილში ვისაუბრებ პირობითად უფრო ასაკოვანი და უფრო ახალგაზრდა თაობების შესახებ, რომლებშიც, შესაბამისად, იგულისხმება 1930–1940-იან წლებში დაბადებული ქალები და 1950–1960-იან წლებში დაბადებულები. რა თქმა უნდა, 11 ინტერვიუს საფუძველზე შეუძლებელია რაიმე ფართო განზოგადების გაკეთება. ეს მოხსენება შეიძლება განვიხილოთ, როგორც საპილოტე კვლევა, ან შუალედური მიმოხილვა, რომელიც გამოკვეთს ჩემი რესპონდენტების მუსიკალური გამოცდილების საერთო ნიშან-თვისებებს და ასევე უნიკალურ ინდივიდუალურ მოგონებებს.

### **ეთნიკურობა და საცხოვრებელი ადგილის გეოგრაფია**

რესპონდენტების ეთნიკურობა და მათი საცხოვრებელი ადგილის გეოგრაფია ძალიან განსხვავებულია და ასახავს ურბანიზაციისა და პერიფერალიზაციის გლობალურ პროცესებს 20-ე საუკუნის მეორე ნახევარში, ისევე როგორც ეკონომიკურ სიღუბეშირეს ესტონეთის სასოფლო სექტორში 1949 წლის იძულებითი კოლექტივიზაციის შემდეგ. ახალგაზრდები სწავლის გაგრძელებისა და მუშაობის მიზნით გაემგზავრნენ სეტომაადან. ჩემს მიერ შერჩეულ რესპონდენტებს შორის არ იყო არც ერთი ქალი, რომელსაც არ ესწავლა, ან არ ემუშავა სეტომაას საზღვრებს გარეთ. ნათესავები უზრუნველყოფდნენ მათ კავშირს მშობლიურ მხარესთან, სეტომააში დაბრუნების ერთ-ერთი მიზეზი კი მოხუცებულ მშობლებზე ზრუნვის აუცილებლობა იყო, მაგრამ უფრო ახალგაზრდა თაობაში, მაგალითად, იყო ტალინში დაბადებული ეთნიკური სეტო, რომელიც უკვე მონიჭულ ასაკში დასახლდა სეტომააში და მოგვიანებით ჩამოიყვანა დედაც, რომელიც ახალგაზრდობაში გადასახლდა სეტომაადან დედაქალაქში.

ჩემს რესპონდენტებს შორის ოთხი ქალი არ იყო ეთნიკური სეტო. პროცენტულობის თვალსაზრისით, ეს დაახლოებით იგივეა, რაც სეტომაას მოსახლეობაში, სადაც არა-სეტო ადამიანების პროპორციული რაოდენობა ფასდება როგორც 1/3. სამი არა-სეტო ქალი სეტო მამაკაცებზე დაქორწინდნენ, ერთი სეტო ქალი – ესტონელ მამაკაცზე; ორი არა-სეტო ქალი სეტომააში სამუშაოდ ჩავიდა, ორი – ქორწინების შედეგად.

### **სეტოური *leelo*-ს ბავშვობასა და სიყმანვილეში მიღებული გამოცდილება**

ჩემი რესპონდენტებიდან ყველა ეთნიკურ სეტოს სეტოური *leelo* ტრადიციულ სიტუაციებსა და გარემოში ჰქონდა მოსმენილი. უფრო ახალგაზრდა თაობაში, 1950–1960-იან წლებში დაბადებულ ქალებში სეტოური *leelo*-ს შესრულების ბავშვური მოგონებები უფრო ბებიებთან და ბაბუებთან იყო დაკავშირებული, დედები კი სასიმღერო აქტივობაში ჩართულები არ იყვნენ:

*„ყოველთვის უფრო ასაკოვანი ქალების ჯგუფები მღეროდნენ. დედებს 1960-იანი წლების მოდის შესაბამისად დახვეული ვარცხნილობები ჰქონდათ და ჰოროსკოპის [ჰოპულარული სატელევიზიო სასიმღერო შოუ] სიმღერებს მღეროდნენ“.*

უფრო ასაკოვანი თაობის, 1930–1940-იან წლებში დაბადებული ქალების გამოცდილება უფრო მდიდარი იყო. ისინი ჰყვებოდნენ, თუ როგორ მღეროდნენ მათი

დედები და თანასოფლელები – სოფლის დღეობებში, ქორწილებში, ტრადიციულ გაცნობის ცერემონიებზე, მინდვრის სამუშაოების დასრულებისადმი მიძღვნილი რიტუალის დროს. მუდმივად მეორედებოდა სიმღერისადმი დედის და მისი თანატოლი მეგობრების დიდი სიყვარულის, სიმღერის შესაძლებლობების ძიების და ერთად სიმღერის ინიციატივის მოტივი:

*„მახსოვს ერთ შობას ნათესავებს ვენვით ტონჯაში (Ton'a) – იმ დროს პატარა უნდა ვყოფილიყავი, დიდები თან აღარ მიჰყავდათ ხოლმე და მაშინ სულ დედაჩემი იყო სიმღერის ნამომწყები: „ქალებო, ვიმღეროთ, ვიმღეროთ!“ და კიდევ, მახსენდება, მეორე დღეს როგორ თქვა დედაჩემმა: „ო, რა ვიმღერეთ! რა მაგრად ვიმღერეთ გუშინ!“*

ამ რესპონდენტის დედას, რომელიც 1914 წელს იყო დაბადებული, სიმღერა მაშინაც კი სჭირდებოდა, როცა სპონტანურად ერთობლივად სიმღერის შესაძლებლობა ძალიან შეზღუდული იყო:

*„დედაჩემის შემთხვევაში ასე იყო ... იმ დროს უკვე სუსტად გრძნობდა თავს. მოვიდოდა: „ტეპოს [ვაჟის] ცოლის დედასთან მივდივარ“. მე ვეუბნები, „რისთვის მიდიხარ?“ – „შვილო, ისე ძალიან მომწყურდა სიმღერა“. ასე რომ, იმისთვის წავიდა, რომ ერთად ემღერათ. ტეპოს სახლში იმღერეს, ჩემი ძმის სახლში. 70-იანებში სიმღერა საერთოდ შეწყდა, არც კი ვიცი, როდის გაქრა. დედაჩემი უფრო ახალგაზრდა იყო [ვიდრე სხვა მომღერლები მის სოფელში], სხვები უკვე აღარ იყვნენ“.*

ყველა ჩემს რესპონდენტს მშობლებისგან სხვა მუსიკა ჰქონდათ მოსმენილი და მათი უმრავლესობა თავის მშობლებთან ერთად მღეროდა: უფრო თანამედროვე ხალხურ სიმღერებს, ორთოდოქსულ სიმღერებს, კლასიკურ და პოპულარულ კომპოზიციებს, რომლებსაც ესტონურ სკოლებში ასწავლიდნენ და მეორე მსოფლიო ომამდელ პოპულარულ ესტონურ ჰიტებს.

### **სეტოური leelo-ს შესრულების გამოცდილება leelo-ს გუნდში განევრიანებად**

არცერთ ჩემს რესპონდენტს ახალგაზრდობის შემდეგ *leelo* სისტემატურად არ შეუსრულებია. *leelo* გუნდებში ამჟამად მღერიან ახალგაზრდა თაობის სეტო და არა-სეტო ქალები. უფროსი თაობის ქალებს აქვთ პასიური უნარები, რომლებიც ახალგაზრდობაში შეიძინეს, როცა *leelo*-ს უსმენდნენ, მაგრამ მათი საკუთარი სასიმღერო პრაქტიკა ძალიან სპორადული იყო. *leelo*-ს შესრულების მათი სისტემატური პრაქტიკა დაიწყო მაშინ, როცა შუახნის ასაკში *leelo*-ს გუნდში გაერთიანდნენ, რასაც წინ მუსიკის რამდენიმე სხვა სტილის შესრულების გამოცდილება უსწრებდა, როგორც ინსტიტუტებში (სიმღერის გაკვეთილები სკოლებში, კლასიკური მუსიკის გუნდი, საეკლესიო გუნდი, პოპულარული მუსიკის ანსამბლი), ისე სპონტანურად წარმოქმნილ სასიმღერო სიტუაციებში.

უფროსი თაობის ვერცერთმა ქალბატონმა, ვინც მჭიდროდ იყო დაკავშირებული სიმღერასთან სოფლის თემში, ვერ გაიხსენა უფროსებთან ერთად სიმღერის შემთხვევები და ვერც ის, რომ ბავშვობაში ან ახალგაზრდობის წლებში ვინმეს მათთვის სიმღერა ესწავლებინა. ერთი მხრივ, ეს ტრადიციული ქცევა იყო – სასიმღერო უნარებს უფროსების შესრულების მოსმენისას, ზოგიერთ შემთხვევაში, მათი აყოლითა და თანატოლებთან ერთად უფროსების მიბაძვის შედეგად იძენდნენ. თუმცა აშკარაა, რომ ახალგაზრდა ქალებს ხელმძღვანელობდნენ, როცა ისინი მნიშვნელოვანი თვითპრეზენტაციისათვის ემზადებოდნენ – იქნებოდა ეს მონაწილეობა სოფლის დღესასწაულებში, თუ ქორწილებში პატარძლის მეჯვარეობა. მეორე მხრივ, იმ ეპოქაში ახალგაზრდებზეც და უფროსებზეც გავლენას

მათი თანამედროვე საზოგადოებისა და საბჭოთა კულტურული პოლიტიკის ის დამოკიდებულება ახდენდა, რომელიც აცხადებდა, რომ ტრადიციული კულტურა ცივილიზაციის ნაკლებობისა და ეკონომიკური ჩამორჩენილობის ნიშანი და წარსულის კუთვნილება იყო. უფროსი თაობის ქალბატონებს პირადად ჰქონდათ გამოცდილი დამამცირებელი დამოკიდებულება სეტოს ეთნოსის მიმართ და ამიტომ მალავდნენ საკუთარ ეთნიკურ კუთვნილებას, როცა სასწავლებლად ან სამუშაოდ სეტომას საზღვრებს ტოვებდნენ.

ასეთი დამოკიდებულება ცხოვრების სტილის ცვლილებასთან ერთად არის ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რატომ ითვლებოდა უფროსი თაობის *leelo* პრაქტიკები არასერიოზულ აქტივობად, სანამ ისინი *leelo*-ს გუნდში არ განეწიანდნენ, როგორც ამას ეს მოგონებები მოწმობს.

1947 წელს დაბადებული ქალბატონი იხსენებს, თუ როგორ ცდილობდა 11 თუ 12 წლის ასაკში, მალულად ჩამჭდარიყო მანქანაში, რომლითაც დედამისი და სხვა მომღერლები მიემგზავრებოდნენ ქორწილში, სადაც უნდა ემღერათ – მას მართლაც ძალიან უნდოდა მოესმინა მათი სიმღერისათვის – და როგორ გადმოაგდო დედამისმა ის მანქანის საბარგულიდან: „შენ არსად არ მოდიხარ!“ (მოზრდილი ბავშვების წაყვანა წვეულებაზე არ იყო მიღებული, ისინი ვალდებულები იყვნენ, მოხუცებულებთან ერთად, სახლზე ეზრუნათ). შემდეგ ეს მამაცი გოგონა წავიდა და თავის მეგობრებთან ერთად ააგო მექორწილეთა პროცესიისათვის ტრადიციული საქორწილო ჭიშკარი და შეეცადა, მეგობრებთან ერთად საქორწილო სიმღერა ემღერა.

1949 წელს დაბადებული ქალბატონი გვიყვება, თუ როგორ იმღერა ერთმა გოგონამ სეტოური *leelo* საძოვარზე, სადაც სოფლის ბავშვები იყვნენ შეკრებილი და აიძულა სხვა ბავშვები, გუნდის პარტია შეესრულებინათ, თუმცა არც ერთს არ უმღერია უფრო მაღალი სოლო ხმა. 1941 წელს დაბადებული ქალბატონის თქმით, სხვა ბავშვები, რომლებსაც სეტოური *leelo*-ს სიმღერა შეეძლოთ, საძოვარზე არ იყვნენ, თუმცა მათ ერთად იმღერეს პოპულარული სიმღერები, რომლებიც სოფლის ახალგაზრდობის რეპერტუარიდან ისწავლეს.

ქორწილებში ახალგაზრდა ქალების როლი მდგომარეობდა იმაში, რომ მათ ერთად უნდა ემღერათ საქორწილო დატირება. უფროსი თაობის არც ერთ ქალბატონს ეს დატირებები არ შეუსრულებია, თუმცა ქორწილებში, რომლებიც სეტომაში ტარდებოდა, ხანში შესული ქალბატონები სხვა ტრადიციულ საქორწილო სიმღერებს ასრულებდნენ.

1941 წელს დაბადებულმა ქალბატონმა გაიხსენა, რომ უნდოდა საკუთარ ქორწილში დატირებები ემღერა, მაგრამ მისმა მომავალმა ქმარმა გადაწყვიტა, რომ მას არ უნდოდა ეს ძველი და ფულის საშოვნელი რიტუალი მის საკუთარ ქორწილში ჩატარებინათ. ეს ქალბატონი ფიქრობს, რომ დატირების შესრულება საჭირო რომ ყოფილიყო, დედამისი ასწავლიდა.

თუმცა უფროსი თაობის ორ ქალბატონს უმღერია *leelo* თავის ნათესავებთან შეხვედრისას: „როცა სკოლის დამთავრების შემდეგ ტარტუში წავედი, მაშინ როცა ნათესავებთან ერთად ჩვენს სახლში [სეტომაში] ვიკრიბებოდით, ყოველთვის ვმღეროდით ხოლმე. მაშინაც კი, როცა გავთხოვდი, იმ დროს იულენურმეში ვცხოვრობდი, ნათესავები რომ ჩამოდიოდნენ ჩემს სანახავად, ყოველთვის ვთხოვდი ჩემს დეიდებს: „მოდით, იმღერეთ!“ ისინი ამბობდნენ, რომ არ იციან ბინაში სიმღერა თუ შეიძლება ... მე ვუბნებოდი: „ეგ არაფერი!“.

### **leelo-ს გაუჩინარება**

რამდენიმე რესპონდენტმა 1970–80-იან წლები დაახასიათა როგორც დრო, როცა *leelo* ჩრდილში მოექცა ან უკანა პლანზე გადასწიეს – მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა *leelo*-ს გუნდები, 1977 წლიდან სამ წელიწადში ერთხელ, ყველა გუნდის მონაწილეობით აღინიშნებოდა სეტოური *leelo*-ს დღე, ხოლო 1970-იან წლებში ესტონეთის ქალაქებში დაწყებულმა მოძრაობამ სეტოურ *leelo*-ს ახალი სოციალური საზრისი შესძინა. თუმცა სეტოს თემში, მთლიანობაში, *leelo*, ალბათ, არ იყო ისე აშკარა, როგორც ადრე ან როგორც 1990-იან და მომდევნო წლებში, როცა სეტოს თემში პოლიტიკური და კულტურული აქტივობის პერიოდი დადგა. 1970–80-იან წლებში თემის სასიმღერო პრაქტიკები გაქრა, *leelo* გუნდები შედარებით ჩაკეტილი ინსტიტუტები იყო, კულტურის ცენტრებში („კულტურის სახლებში“) აქტიურად ინერგებოდა თანამედროვე პოპულარული მუსიკა და კლასიკური საგუნდო სიმღერა, ხოლო 1960-იანი წლებიდან ახალგაზრდების სამყაროს პოპ-მუსიკის მრავალი ახალი სტილი დაემატა.

ქალბატონმა, რომელიც 1947 წელს დაიბადა, გაიხსენა, თუ 1970-იანი წლების დასაწყისში როგორ მივიდა დედასთან სახლში; მას უნდოდა დედისთვის ეთხოვა ტრადიციული სამოსი, რაც სჭირდებოდა დედაქალაქში ფოლკლორულ გუნდში მონაწილეობისათვის. დედამისის აზრით, *leelo*-ს ტრადიცია აღარ არსებობდა:

*მეცისი ჩავედი, დედაჩემს ვუთხარი: „სად არის შენი ტანსაცმელი იგორ ტინურისტმა (Igor Tõnurist) მიმიღო Leegajus-ში, რომ სეტოს სიმღერები ვიმღერო“ დედა სერიოზულად გაბრაზდა: „რას მატყუებ, სეტოს ტანსაცმელი გინდა, ეს ხომ განძია“. დედაჩემისთვის ეს ტანსაცმელი განძი იყო, რადგან მას ეცვა ხოლმე, მომღერალიც იყო და მკერავიც. არ მადღევდა: „სახლში იმიტომ ჩამოხვედი, რომ მომატყუო, სეტომააშიც კი აღარ მღერიან სეტოს სიმღერებს ქორწილებში და შენ მატყუებ, რომ სეტოს სიმღერებს ტალინში მღერიან. ნუ იტყუები!“. მართლაც ძალიან გაბრაზდა. [მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნახა სატელევიზიო პროგრამა და შეხვდა ფოლკლორული ჯგუფის ხელმძღვანელს, დაუჯერა თავის შვილს].*

### **რატომ მღეროდნენ ქალები სეტოურ leelo-ს?**

უფროსი თაობის სეტოელ ქალბატონებს გაუჭირდათ იმის ახსნა, თუ რატომ შეუერთდნენ *leelo*-ს გუნდს – მათ უბრალოდ უნდოდათ, რომ ემღერათ. მათი ბავშვობის მოგონებები მოწმობს, რომ ქალთა სიმღერამ, იმ დროს მათზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა და თვალის ახელის განცდა გამოიწვია; მათთვის *leelo* მშვენიერია. თანაც *leelo* „მათი საკუთარია“, ის აკავშირებს მათ მშობლებთან და მშობლიურ კერასთან – ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც სეტომაას საზღვრებს გარეთ ცხოვრობენ. რამდენადაც უფროსი თაობის მრავალი ქალბატონის დედები ამ თემში სიმღერის წამყვანები იყვნენ, როგორც ჩანს, ამ ქალბატონებმა თავისი მშობლებისაგან მემკვიდრეობით მიიღეს „სიმღერის წყურვილი“, ყველა სახის მუსიკის შესრულების სურვილი. რამდენიმე ქალბატონს სოციალური ურთიერთობის საჭიროებამ უბიძგა, რომ სოლიდურ ასაკში განვერიანებულიყო *leelo*-ს გუნდში.

არა-სეტო და ახალგაზრდა თაობამ თავიანთი თვალსაზრისი უფრო გარე დამკვირვებლის პოზიციიდან ჩამოაყალიბეს. ორმა ქალბატონმა აღნიშნა *leelo*-ს „ნაკლოვანება“ დასავლური მუსიკის პერსპექტივიდან: მუსიკალურად მონოტონურია, მელოდიას განვითარება და კლმინაცია აკლია, ინტონაცია არ არის სუფთა და, საზოგადოდ, შესრულება არ არის სათანადოდ მოწესრიგებული და გაკონტროლებული მუსიკალურად. ის, რითაც არა-სეტო და ახალგაზრდა თაობა *leelo*-მ მიიზიდა, იყო განსაკუთრებული, ამალელებული თუ რიტუალური ენერჯია,

რომელიც მათ იგრძნეს მაშინ, როცა უფროს მომღერლებს უსმენდნენ, ასევე მაშინ, როცა თვითონ მღეროდნენ. *leelo*-ს ერთ-ერთი მთავარი ღირებულება სიტყვების იმპროვიზების შესაძლებლობა, საკუთარი ფიქრების გამოხატვის და კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტული ადამიანებისათვის მიმართვის შესაძლებლობაა.

### **შეჯამება**

საუბრებმა 11 მუსიკოსთან ფრაზის „უწყვეტი *leelo* ტრადიცია“ ახალი საზრისები დამანახა 20-ე და 21-ე საუკუნეებში. უწყვეტობა მცირე და ხანგრძლივ წყვეტებს მოიცავს, რომლებიც შეიძლება აღმოვაჩინოთ 1930-იან და 1960-იან წლებში დაბადებული ქალბატონების ინდივიდუალური მუსიკალური ცხოვრების ისტორიებში: *leelo*-ს გამოცდილების ნაკლებობა (გადმოსახლებულების შემთხვევაში) ან პასიური გამოცდილება, სიყმანვილეში სასიმღერო პრაქტიკის ნაკლებობა ან მისი შემთხვევითი ხასიათი, ისევე, როგორც ზოგიერთ შემთხვევაში და ამჟამადაც სხვა მუსიკალური სტილების პრაქტიკების დომინირება, როგორც ახალგაზრდობის, ასევე მოწიფულ ასაკში. თუმცასოლიდურ ასაკში ქალბატონების გაერთიანება *leelo* გუნდებში მოტივირებული იყო ბავშვობის სასიმღერო სიტუაციების ცოცხალი გამოცდილებითა და ემოციური კავშირით იმ პერიოდის მომღერლებთან, ისევე როგორც მშობლიურ კერასთან; ტრადიციული შესრულების განსაკუთრებული ენერჯის გამოცდილებით და სახელოვანი მომღერლების მომხიბლავი პიროვნულობით; ძველი პოეზიით ტკბობის და სიტუაციის შესაფერისი ტექსტების შექმნის შესაძლებლობით და რაღაც ზომით *leelo*-ს, როგორც კულტურული მემკვიდრეობის გაცნობიერებით (იხ. აგრეთვე, Oras 2016). ამ ფაქტორების მოტივაციური გავლენა ნამდვილად უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც განვიხილავთ, თუ როგორ უნდა უზრუნველყოთ *leelo*-ს ტრადიციის სიმყარე მომავალში – რა იზიდავს და აიძულებს ადამიანებს ჩაერთონ *leelo*-ს შესრულებაში.

**თარგმნა მარინა ამბოკაძემ**